



პროექტი

**საქართველოს ორგანული კანონი  
საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების  
შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 19.02.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.04.001.016100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. ორგანული კანონის 85-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი „ვ) სამოქალაქო ბიუჯეტი“.
2. ორგანული კანონის 85<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი „მ) სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში წარდგენილი/დამტკიცებული პროექტები, მათი წარდგენიდან/დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში“.
3. ორგანული კანონის 85<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ბ) განიხილოს შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს

წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები, მ.შ. განიხილოს და წარადგინოს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში შემუშავებული პროექტები“.

4. ორგანულ კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 86<sup>2</sup>-ე მუხლი.

#### „მუხლი 86<sup>2</sup>. სამოქალაქო ბიუჯეტი

1. სამოქალაქო ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესაძლებლობას, ამ კანონით და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით დაგვემონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაწილი.
2. მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილებით ამტკიცებს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში პროექტების მომზადების, წარდგენის და შერჩევის წესს.
3. მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის შედგენის დროს, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ სხვა პროგრამებთან ერთად, სამოქალაქო ბიუჯეტისთვის გაითვალისწინოს ცალკე პროგრამა (პროგრამები).
4. სამოქალაქო ბიუჯეტისთვის პროექტის წარდგენის უფლებამოსილება აქვს სრულწლოვან პირს ან პირთა ჯგუფს და დასახლების საერთო კრებას (შემდეგში - ინიციატორი).
5. ინიციატორის წინადადება დადასტურებული უნდა იყოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ამომრჩევლთა ხელმოწერებით, რომელთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით, ხოლო თუ ინიციატორი დასახლების საერთო კრებაა - შესაბამისი კრების ოქმით.
6. სამოქალაქო ბიუჯეტით დასაფინანსებელი პროექტების ღია და საჯარო შერჩევას და მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციების მომზადებას ახდენს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია (შემდეგში - კომისია), რომლის შემადგენლობაში პარტიტული და გენდერული (ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა 1/3-ზე ნაკლები არ უნდა იყოს) პრინციპების დაცვით, შედიან: მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა ფრაქციის და კომისიის თითო წარმომადგენელი, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ან მათი მოადგილეები და საზოგადოების წარმომადგენლები.
7. კომისიის მიერ სამოქალაქო ბიუჯეტში შესატანი პროექტების შერჩევის წესი და კრიტერიუმები მტკიცდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში პროექტების შერჩევის წესში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ა) პროექტების შერჩევის პროცედურის საჯაროობის, კერძოდ, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მექანიზმები;
- ბ) პროექტების შერჩევის პროცესში ინიციატორების მონაწილეობის, მათ მიერ კომისიის სხდომაზე დისკუსიაში მინაწილეობისა და აზრის გამოთქმის შესაძლებლობა;
- გ) პროექტების შერჩევის თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების მიღების კონსენსუალური ხასიათის სასურველობა;
- დ) პროექტების შერჩევისა და მუნიციპალიტეტის მერისათვის სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მათი დაფინანსების რეკომენდაციის მიღების თაობაზე კომისიის გადაწყვეტილების მიღების შემდეგი ძირითადი კრიტერიუმები:
- დ.ა) პროექტი წარმოდგენილია უფლებამოსილი პირის მიერ;
- დ.ბ.) პროექტი შეესაბამება მოსახლეობის გამოკითხვის (არსებობის შემთხვევაში) შედეგად განსაზღვრულ პრიორიტეტებს;
- დ.გ) პროექტი შეესაბამება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს;
- დ.დ) ერთი პროექტის სავარაუდო ღირებულება არ აღემატება სამოქალაქო ბიუჯეტისთვის გამოყოფილი თანხის  $\frac{1}{4}$ -ს, ან, მუნიციპალიტეტის პირობით ზონებად დაყოფის შემთხვევაში - შესაბამისი ზონისთვის გამოყოფილ ოდენობას;
- დ.ე) დაცულია ბალანსი სასოფლო და საქალაქო დასახლებებს შორის;
- დ.ვ) პროექტი ან მასთან უშუალოდ დაკავშირებული ცალკეული აქტივობა არ არის გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის სხვა პროგრამებში;
- ე) მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია, სამოქალაქო ბიუჯეტში შესატანი პროექტების შერჩევის წესისა და კრიტერიუმების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით დააზუსტოს ამ მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი კრიტერიუმები და დამატებით დაადგინოს სხვა კრიტერიუმები, რომლებითაც არ უნდა იქნას დარღვეული სამოქალაქო ბიუჯეტისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის თანაბრად და სამართლიანად გადანაწილების პრინციპი და არ უნდა მოხდეს რომელიმე სოციალური ჯგუფის/დასახლების/დასახლების ნაწილის მიმართ დისკრიმინაციული პირობების შექმნა.
8. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, მას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი და ბიუჯეტის მომზადების პროცესში წარედგინება მუნიციპალიტეტის მერს.

## განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესში სამოქალაქო ჩართულობა რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, ყოველი წლის 15 ნოემბრამდე, მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს უგზავნის ბიუჯეტის პროექტს. ამის შემდეგ, საკრებულოს აქვს 5 დღიანი ვადა, რათა გაასაჯაროს ბიუჯეტის პროექტი საჯარო განხილვისთვის, რის შემდეგაც 25 ნოემბრამდე შენიშვნებთან ერთად უბრუნებს მას მერიას. ბიუჯეტის განახლებულ ვერსიას მერი 10 დეკემბრამდე უბრუნებს საკრებულოს, რომელიც წლის ბოლომდე ამტკიცებს საბოლოო ბიუჯეტს.<sup>1</sup> კანონმდებლობის თანახმად, ბიუჯეტის საჯარო განხილვა შესაძლებელია მისი მომზადების პროცესში ორჯერ - 20 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე და 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდებში.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მზადდება მერიის მიერ კვარტალურად და ეგზავნება საკრებულოს. წელიწადში ერთხელ, საკრებულოს პლენარულ სხდომაზე იმართება ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საჯარო განხილვა.<sup>2</sup>

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების დონის შეფასების მიზნით ბოლო პერიოდში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკა ნაკლებად არსებობს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დანერგილი არ არის თანამონაწილეობითი მექანიზმები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის მის მუშაობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, რომელმაც ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მოსახლეობის აქტიური ჩაბმა და მუნიციპალური ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლი უნდა უზრუნველყოს. ამ მიზნით საქართველოს ორგანულ კანონს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014 წელს დაემატა 86<sup>1</sup> მუხლი „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“ და 85<sup>2-5</sup> „დასახლების საერთო კრება“

ამ მუხლების მიხედვით, მერი ვალდებულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს განსახილველად წარუდგინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებები, სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტები, აგრეთვე, სხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტები. ასევე რეგისტრაციაში გაატაროს დასახლების საერთო კრება და ხელი

<sup>1</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 91, 5 თებერვალი, 2014

<sup>2</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლები 78 (2), 88 (1), 2009 წლის 18 დეკემბერი

შეუწყოს მის ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებულნი არიან დასახლების საერთო კრებას წარუდგინონ:

- შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მათ ასახვამდე და მუნიციპალიტეტის ორგანოებს წარუდგინოს დასაბუთებული შენიშვნები და წინადადებები.
- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;

კანონით განსაზღვრული ამ უფლებამოსილებების მიუხედავად, მრჩეველთა საბჭოს და დასახლების საერთო კრების ფუნქცია ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ბუნდოვანია და მხოლოდ უკვე მომზადებული ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და რეკომენდაციის მიცემაში გამოიხატება, რაც არ უზრუნველყოფს მოქალაქეთა სრულფასოვან მონაწილეობას და საბიუჯეტო პრიორიტეტების თაობაზე მოსახლეობის აზრის გათვალისწინებას.

საბიუჯეტო პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართვისათვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და დასახლების საერთო კრებას ესაჭიროება მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ამ პროცესის დასაწყისისთანავე აქტიურად ჩაერთვება მომავალი წლის პრიორიტეტების განსაზღვრაში. მუნიციპალიტეტის მუშაობაში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს და დასახლების საერთო კრების აქტიური ჩართულობის ერთ-ერთი ფორმა შეიძლება გახდეს ე.წ. „სამოქალაქო ბიუჯეტის“ პროცესის წარმართვა, რომელიც უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ფართოდაა დანერგილი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

სამოქალაქო, ანუ თანამონაწილეობით ბიუჯეტს უწოდებენ მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილს, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა წინასწარ გამოყოფს მოსახლეობის ინიციატივების განსახორციელებლად, რომელთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით და პოლონელი ექსპერტების ჩართვით 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში პირველად განხორციელდა სამოქალაქო (თანამონაწილეობითი) ბიუჯეტის მექანიზმი. ეს იყო საპილოტე პროექტი სახელწოდებით „ლოკალური აქტივობა - თვითმმართველობის ბიუჯეტში მონაწილეობით მარნეულში“, რომელიც განახორციელდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებულ „დემოკრატიის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, პოლონური ფონდის „სხვა სივრცე“ (Other Space Foundation) და ა/ო „ერთიანი კავკასიას“ მიერ, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

შედეგად, პროცესში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მოქალაქემ, რომელთა ინიციატივიანმა ნაწილმა მუნიციპალიტეტს 49 პროექტი წარუდგინა, საიდანაც 34 პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსები - 1,5 მლნ. ლარი მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყო და ეს პროექტები განახორციელა.

სამოქალაქო ბიუჯეტის გამოცდილება 2016 წელს გაუზიარდა სხვა მუნიციპალიტეტებს, ხოლო თავად მარნეულში პროცესი განმეორდა და მოქალაქეებმა 137 პროექტი წარადგინეს, რომელთაგან 50-ის გათვალისწინება დაიგეგმა 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. 2017 წლიდან სამოქალაქო ბიუჯეტი ინერგება საქართველოს რამდენიმე სხვა მუნიციპალიტეტში (გორი, საჩხერე, ზორჯომი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი).

შემოთავაზებული კანონპროექტით სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის ცალკე პროგრამ(ებ)ის ფარგლებში, რის საფუძველსაც იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები“.

#### **ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია მოქალაქეებისთვის მონაწილეობის გაზრდა საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში და, შესაბამისად სამოქალაქო ბიუჯეტისთვის საჭირო ნორმატიული ბაზის შექმნა. პროექტით შემოთავაზებული პროცედურებით ჩამოყალიბდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი პროგრამისთვის მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების შერჩევის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად და მისი ინიციატივით შექმნილი საპროექტო წინადადებების განხორციელებას, საჯაროობისა და მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის ხარჯზე ქმნის განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოების მიერ ინფორმირებული მონიტორინგის შესაძლებლობებს და, აქედან გამომდინარე, ხელს უწყობს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის კმაყოფილების დონის ზრდას.

#### **ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წინამდებარე პროექტის შესაბამისად, შემოთავაზებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ორგანული კანონის 85-ე მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „ვ“ ქვეპუნქტი, რომელიც სამოქალაქო ბიუჯეტს განსაზღვრავს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას, ორგანული კანონის 85<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტს დაემატება „მ“ ქვეპუნქტი რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მიღებული და დამტკიცებული პროექტების პროაქტიულ ხელმისაწვდომობას, ხოლო 85<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდება ისეთი რედაქციით, რომელიც პროექტების განხილვისა და წარდგენის უფლებამოსილებას მიანიჭებს დასახლების საერთო კრებას, როგორც ერთ-ერთ ინიციატორს.

ორგანულ კანონს დაემატება ახალი, 86<sup>2</sup> მუხლი - სამოქალაქო ბიუჯეტი, რომელიც ადგენს სამოქალაქო ბიუჯეტის ცნებას, მის სამართლებრივ საფუძველებს, პროექტების ინიცირების, განხილვის და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში მათი ასახვის ზოგად წესს, ასევე მათი

შერჩევის ძირითად კრიტერიუმებს. სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის დაგეგმვის, წარმართვის, პროექტების შერჩევისა და ბიუჯეტში მათი გათვალისწინების უფრო დეტალური წესის განსაზღვრის უფლებამოსილებას კანონპროექტი ანიჭებს მუნიციპალიტეტების საკრებულოებს, ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ფინანსური ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:**

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროპის კავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტი მომზადდა პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციების Fundacja Inna Przestrzen და Fundacja Solidarności Międzynarodowej, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ OSGF, არასამთავრობო ორგანიზაციების: ერთიანი კავკასიას, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის IDFI, მწვანე კავკასიას, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ISFED, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის და რეგიონის განვითარების ცენტრის მიერ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორები:**

კანონპროექტის ავტორები არიან: კოკა კილურაძე, ვაკო ნაცვლიშვილი, საბა ბუაძე, მამუკა აბულაძე, დავით ხოსრუაშვილი და ირმა ჰავლიაშვილი.



## საქართველოს კანონი

### საქართველოს კანონში „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს კანონში „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 18.12.2009, სარეგისტრაციო კოდი: 190.020.010.05.001.003.829) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) კანონის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის თ<sup>2</sup> პუნქტი:

„თ<sup>2</sup>) სამოქალაქო ბიუჯეტი – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ნაწილი, რომელიც მოიცავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ პროგრამას (პროგრამებს), რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება მოსახლეობის ინიცირებით მომზადებული საპროექტო წინადადებები. სამოქალაქო ბიუჯეტისთვის განსაზღვრული ფინანსური სახსრების პროცენტულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო მომავალი საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებიდან *(ალტერნატივა: მაგრამ არანაკლებ საბიუჯეტო გადასახდელების 1 პროცენტის ოდენობით)*“.

ბ) კანონის 77-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> პუნქტი:

„3<sup>1</sup>) სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით შესაბამისი საფინანსო ორგანო ითვალისწინებს შესაბამისი პროგრამის (პროგრამების) პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს და მოსახლეობის მიერ ინიცირებულ საპროექტო წინადადებებს, რომლებიც მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

## განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მომზადების პროცესში სამოქალაქო ჩართულობა რეგულირდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86<sup>1</sup> მუხლში ცვლილებების შეტანის შემოთავაზებული კანონპროექტით სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესი განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის ცალკე პროგრამ(ებ)ის ფარგლებში, რის საფუძველსაც იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები“.

სამოქალაქო, ანუ თანამონაწილეობით ბიუჯეტს უწოდებენ მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილს, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა წინასწარ გამოყოფს მოსახლეობის ინიციატივების განსახორციელებლად, რომელთა შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერის მიერ კომისიის მიერ წარდგენილ რეკომენდაციის საფუძველზე.

უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით და პოლონელი ექსპერტების ჩართვით 2015 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტში პირველად განხორციელდა სამოქალაქო (თანამონაწილეობითი) ბიუჯეტის მექანიზმი. ეს იყო საპილოტე პროექტი სახელწოდებით „ლოკალური აქტივობა - თვითმმართველობის ბიუჯეტში მონაწილეობით მარნეულში“, რომელიც განახორციელდა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებულ „დემოკრატიის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში, პოლონური ფონდის „სხვა სივრცე“ (Other Space Foundation) და ა/ო „ერთიანი კავკასიას“ მიერ, მუნიციპალიტეტის გამგეობასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

შედეგად, პროცესში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მოქალაქემ, რომელთა ინიციატივიანმა ნაწილმა მუნიციპალიტეტს 49 პროექტი წარუდგინა, საიდანაც 34 პროექტის განსახორციელებლად საჭირო ფინანსები - 1,5 მლნ. ლარი მუნიციპალიტეტმა 2016 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყო და ეს პროექტები განახორციელა.

სამოქალაქო ბიუჯეტის გამოცდილება 2016 წელს გაუზიარდა სხვა მუნიციპალიტეტებს, ხოლო თავად მარნეულში პროცესი განმეორდა და მოქალაქეებმა 137 პროექტი წარადგინეს, რომელთაგან 50-ის გათვალისწინება დაიგეგმა 2017 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში. 2017 წლიდან სამოქალაქო ბიუჯეტის ინერგება საქართველოს რამდენიმე სხვა მუნიციპალიტეტში (გორი, საჩხერე, ბორჯომი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი).

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:**

კანონპროექტის მიზანია სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვისათვის საჭირო ნორმატიული ბაზის შექმნა. პროექტით შემოთავაზებული ცვლილებებით განისაზღვრება სამოქალაქო ბიუჯეტის ცნება და მუნიციპალიტეტის შესაბამისი პროგრამ(ებ)ის ფარგლებში მოსახლეობის მიერ ინიცირებული საპროექტო წინადადებების გათვალისწინების მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ მოსახლეობის კმაყოფილების დონის ზრდას.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:**

წინამდებარე პროექტის შესაბამისად, შემოთავაზებულია კანონის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის თ<sup>2</sup> პუნქტისა და კანონის 77-ე მუხლისთვის 3<sup>1</sup> პუნქტის დამატება.

კანონის მე-6 მუხლის თ<sup>2</sup> პუნქტი ახდენს სამოქალაქო ბიუჯეტის ცნების განმარტებას, კერძოდ, სამოქალაქო ბიუჯეტი არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ნაწილი და შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილ ერთ ან რამდენიმე პროგრამას, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინიცირებით მომზადებული საპროექტო წინადადებები.

კანონის 77-ე მუხლისთვის 3<sup>1</sup> პუნქტი განსაზღვრავს სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესში მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს უფლებამოსილებას, კერძოდ, შესაბამისმა საფინანსო ორგანომ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამ(ებ)ის შედგენისას უნდა გაითვალისწინოს სამოქალაქო ბიუჯეტის პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები. სამოქალაქო ბიუჯეტის შემადგენელი პროგრამ(ებ)ით ხდება მოსახლეობის მიერ ინიცირებული საპროექტო წინადადებების განხორციელება, რომლებიც მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 86<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით“.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86<sup>2</sup> მუხლში შესატანი ცვლილებების კანონპროექტით შემდეგი წესია განსაზღვრული: მუნიციპალიტეტის მერი ყოველწლიურად, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის დაწყებისთანავე ქმნის კომისიას, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, ატარებს მოსახლეობის გამოკითხვას ბიუჯეტის პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით. კომისია იხილავს სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლად მოქალაქეთა მიერ შემუშავებულ საპროექტო წინადადებებს და იღებს გადაწყვეტილებას საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე, რაც ფორმდება საოქმო

ჩანაწერით. შემდეგ კომისია მის მიერ მოწონებული საპროექტო წინადადებების დაფინანსების რეკომენდაციით მიმართავს მუნიციპალიტეტის მერს, სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ფინანსური ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:**

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროპის კავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

კანონპროექტი მომზადდა პოლონური არასამთავრობო ორგანიზაციების Fundacja Inna Przestrzen და Fundacja Solidarności Międzynarodowej, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ OSGF, არასამთავრობო ორგანიზაციების: ერთიანი კავკასიას, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის, მწვანე კავკასიას, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის IDFI, სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ISFED, ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის და რეგიონის განვითარების ცენტრის მიერ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორები:**

კანონპროექტის ავტორები არიან: დავით ხოსრუაშვილი, მამუკა აბულაძე, კოკა კილურაძე, ვაკო ნაცვლიშვილი, საბა ბუაძე და ირმა პავლიაშვილი.